



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №133



2013 წლის 23 აგვისტო  
ქალაქი ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №233 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #233 განკარგულების შესაბამისად დამტკიცებულ „ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელ პროგრამაში.
2. ცვლილებების გათვალისწინებით განკარგულება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.
3. განკარგულება გაეფხავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
4. განკარგულება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ან რაიონულ სასამართლოში ერთი თვის განმავლობაში (მის. ქ. ხაშური კოსტავას ქ. #15).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელ აღზრდის სფეროში  
განსახორციელებელი პროგრამა

დაგეგმილია, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლამდელი აღზრდის სფეროში 13 არასამეწარმეო იურიდიული პირის \_ (№1, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13 საბავშვო ბაღების) ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. ქ.ხაშურში განთავსებულია №1---№8 საბავშვო ბაღები, №9 \_ დაბა სურამში, №10 \_ სოფელ ცხრაბუხაში, №11 \_ სოფელ გომში, №12 \_ სოფელ ოსიაურში, №13 \_ სოფელ ალში.

**პროგრამის არსი**

პროგრამის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღსაზრდელთა თანადაფინანსებას სასწავლო პროცესში და დაფინანსებას არასასწავლო პერიოდშიც, თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით.

საქართველოს კანონმდებლობაში შესული ცვლილების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში უფასო სწავლებას, პროგრამის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, აღსაზრდელთა დაფინანსებას სასწავლო და არასასწავლო პერიოდში, თითოეულ ბავშვზე 60 ლარის ოდენობით.

ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს დაწესებულებებში დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას და კვებისა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.

**პროგრამის ხანგრძლივობა**

2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**პროგრამის ბიუჯეტი**

პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო 682880 ლარი, რაც გათვლილია 1067 ბავშვზე; თანხის გაანგარიშებას საფუძველად უდევს მონაცემები გასულ წელს სამუშაო თვეებში ბავშვთა ფაქტიური დასწრების სიდიდის შესახებ, ხოლო თუ მოხდა ბავშვთა რაოდენობის 20%-ით შემცირება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურს.

**პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:**

\_ მოსახლეობისათვის სკოლამდელი აღზრდის სფეროს მომსახურების ხელმისაწვდომობა.

\_ მოზარდთა შემეცნებითი და ინტელექტუალური დონის ამაღლება.

\_ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

№	აღსაზრდელოთა რაოდენობა	ვაუჩერის რაოდენობა თვეში	სუბსიდია თვეში იანვარი- აგვისტო	სუბსიდია სულ რვა თვის	სუბსიდია თვეში სექტემბერი- დეკემბერი	სუბსიდია სულ ოთხი თვის	სუბსიდია სულ წელიწადში
1	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #1	142	50	56800	60	34080	90880
2	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #3	103	50	41200	60	24720	65920
3	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #4	139	50	55600	60	33360	88960
4	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #5	155	50	62000	60	37200	99200
5	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #6	99	50	39600	60	23760	63360
6	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #7	140	50	56000	60	33600	89600
7	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #8	46	50	18400	60	11040	29440
8	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #9	102	50	40800	60	24480	65280
9	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #10	38	50	15200	60	9120	24320
10	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #11	24	50	9600	60	5760	15360
11	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #12	38	50	15200	60	9120	24320
12	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #13	41	50	16400	60	9840	26240
	<b>სულ</b>	<b>1067</b>		<b>426800</b>		<b>256080</b>	<b>682880</b>